თემატური ჯგუფი - პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემა

ჯგუფის სხდომის ოქმი №7

თბილისი 28 ოქტომბერი,2011

სხდომას ესწრებოდნენ:

1. მარინა ჟვანია - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;
2. ქეთევან ფანჩულიძე - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს უფროსი;
3. გია ტარიელაძე - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული დაგეგმვის სამსახურის უფროსის მოადგილე;
4. კოტე ჩოკორაია - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის კოორდინატორი;
5. ნანი დალაქიშვილი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი;
6. დიმიტრი მოლაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების პროგრამების განვითარების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი;
7. ლელა წიფურია - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი;
8. მაია ჩიხლაძე - საზოგადოებრივ კოლეჯ "პანაცეას" დირექტორის მოადგილე;
9. მათე ტაკიძე - თბილისის ტურიზმის პროფესიულ კოლეჯ „იკაროსის" დირექტორი;
10. რევაზ საყვარელიძე - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) VET პროექტის მენეჯერი
11. მარიკა გოდაბრელიძე - შპს "საქართველოს რკინიგზის" ადამიანური რესურსების შერჩევისა და განვითარების განყოფილების უფროსი;

სხდომის დღის წესრიგი:

1. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში ცვლილებების პროექტის განხილვა
2. ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში აკადემიური კვალიფიკაციების დამატების თაობაზე წინასწარი მოსმენა.

1. გია ტარიელაძემ დამსწრეებს გააცნო ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოკუმენტის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება) №5 დანართით დადგენილი კვალიფიკაციის ფორმირების წესი, რომლის თანახმად მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დასაშვებია, თუ მასზე დაწესებულებას მიღებული აქვს თანხმობა ავტორიზაციისას, ამ პროგრამის აკრედიტაციისას ან თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენისას, ასეთ შემთხვევაში განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს წინადადებებს მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში დამატებების თაობაზე. ეს რეგულირება ეხება როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ კვალიფიკაციებს. დასამატებელი კვალიფიკაციების ნუსხის სამუშაო ვარიანტში შეტანილია ყველა საფეხურის პროგრამების შესაბამისი კვალიფიკაციები. რამდენადაც ავტორიზაციის და პროგრამული აკრედიტაციის პროცესი კიდევ გრძელდება, საბოლოო გადაწყვეტილება ნუსხაში დამატებების მიღების თაობაზე მიღებული იქნება დეკემბერში.

მარინა ჟვანიამ სხდომაზე წარმოადგინა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სსიპ-მა და კერძო პროფესიულმა კოლეჯებმა, ასევე უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა 2011 წლის ივნისის თვეში თვითშეფასების ანგარიშებთან ერთად წარმოადგინეს რამდენიმე ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და ცენტრს მომართეს თხოვნით, ამ პროგრამების შესაბამისი სპეციალიზაციები შეტანილ იქნეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში; გარდა ამისა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა USAID/GEORGIA-ს EPI-ს პროექტის ხელმძღვანელის მოადგილის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ სამი სსიპ - პროფესიული კოლეჯი პროექტის ხელშეწყობით განახორციელებს სამ ახალ პროგრამას, რომელთა შესაბამისი კვალიფიკაციები ასევე უნდა დაემატოს კვალიფიკაციათა ნუსხას. პროგრამებთან ერთად წარმოდგენილ იქნა შესაბამისი პროფესიული სტანდარტებიც. დასამატებელი პროფესიული კვალიფიკაციების პირველად ნუსხაში შედიოდა 19 დასახელება:

- დასუფთავების სამსახურის სპეციალისტი
- პარიკმახერი
- მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი
- ლიფტების ელექტრომექანიკოსი
- სომელიე
- ელექტრორკალური შემდუღებელი
- პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსი
- სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი
- საკერავი მანქანების მექანიკოსი
- საკერავი მანქანების ოპერატორი
- მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მანქანების ტექნიკოსი
- აგროლოჯისტიკის ოპერატორი
- სტატისტი
- სცენის მულტიმედია-დიზაინერი
- სამთო გამყოლი
- საფეხმავლო გამყოლი
- პრაქტიკოსი ექთანი
- პრაქტიკოსი ბებიაქალი
- საჰაერო გადამზიდავი

ქეთევან ფანჩულიძემ და ნანი დალაქიშვილმა გააკეთეს დაწვრილებითი კომენტარი თითოეული პროგრამის მომზადებისა და წარმოდგენის, ასევე შეთანხმების დეტალებზე, აღინიშნა, რომ პროგრამების ნაწილი წარმოდგენილია სსიპ პროფესიული კოლეჯების მიერ 2011 წლის თვითშეფასების ანგარიშებით და პროგრამების შეფასების შემდეგ, საგანმანათლებლო დაწესებულებებს წერილობით მიეცათ ნებართვა ამ პროგრამების განხორციელებაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით. მეორე ნაწილი (მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მანქანების ტექნიკოსი, აგროლოჯისტიკის ოპერატორი, სტატისტი, სცენის მულტიმედია-დიზაინერი,სამთო გამყოლი, საფეხმავლო გამყოლი, პრაქტიკოსი ექთანი, პრაქტიკოსი ბებიაქალი, საჰაერო გადამზიდავი) წარმოადგინეს უმაღლესმა საგანმანთლებლო დაწესებულებებმა და ამ პროგრამების განხორციელების ნებართვა მიიღეს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებით. თუმცა, შესაბამისი პროფესიული სტანდარტების პროექტების დარგობრივ ჯგუფებზე განხილვისას

გამოიკვეთა გარკვეული განსხვავებული მოსაზრებები, კერძოდ, მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მანქანების ტექნიკოსის, სტატისტის, ელექტრორკალური შემდუღებლის კვალიფიკაციებთან დაკავშირებით, ექსპერტთა მოსაზრებებს დაეთანხმნენ თვით საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებიც (შპს სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯი, სსიპ ილიას უნივერსიტეტი, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და თუ თემატური ჯგუფის წევრები დაეთანხმებიან ინჟინერიის მიმართულების დარგობრივი ჯგუფების (ტრანსპორტი, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მასალათმცოდნეობა, სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია, საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია) გაერთიანებული კომისიის სხდომის (2011 წლის 11 ოქტომბრის ოქმი) მონაწილეთა მოსაზრებებს, მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მანქანების ტექნიკოსი და ელექტრორკალური შემდუღებელი არ შევა დასამატებელი პროფესიული კვალიფიკაციების ნუსხაში, რაც შეეხება სტატისტის კვალიფიკაციას, მიზანშეწონილია, გაგრძელდეს ამ პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის დასაზუსტებლად მუშაობა ხელოვნების დარგობრივი ჯგუფისა და თვით სსიპ ილიას უნივერსიტეტის მონაწილეობით. პროგრამების პარალელურად საგანმანათლებლო პროგრამების და განათლების აღიარების სამსახურში შემოსულის შესაბამისი პროფესიული სტანდარტებიც, რომელთა დამუშავება გრძელდება. ასევე უნდა განხორციელდეს ორი კვალიფიკაციის დასახელების კორექტირება (ხილ-ბოსტნეულის პირველადი გადამმუშავებელი (010451) შეიცვალოს დასახელებით **ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი და** პოლიგრაფისტი (040951) შეიცვალოს დასახელებით **პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსი),** რასაც საფუძვლად უდევს პროფესიული კოლეჯების და შესაბამისი დარგის ექსპერტების მოსაზრებები, ასევე ჯანდაცვის დარგობრივი კომიტეტის ოქმის საფუძველზე უნდა შესწორდეს ექთნის თანაშემწის დასახელება. კერძოდ, ”ექთნის თანაშემწე (*მომვლელი, ძიძა, გერიატრია)” უნდა შეიცვალოს სახელწოდებით ”ექთნის თანაშემწე”.

მოსაზრებები გამოთქვეს:

რევაზ საყვარელიძემ, რომლის აზრითაც პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩამონათვალი აუცილებელია შესაბამისობაში იყოს ევროპულ დოკუმენტთან - ISCO 88 – თან. განსაკუთრებით მეტი მუშაობაა საჭირო მეოთხე-მეხუთე საფეხურების შესაბამისი კვალიფიკაციების დადგენისას (მაგ. რატომ არ უნდა იყოს ნუსხაში ტექნიკოს-აგრონომი და სხვ.). სასურველია გაგრძელდეს მუშაობა დასუფთავების

სამსახურის სპეციალისტის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, ძალიან აქტუალურია აგროლოჯისტიკის ოპერატორის სპაციალობა.

ლელა წიფურიას აზრით სტატისტს შეიძლება ეწოდოს სტატისტ-დეკლამატორი.

მათ ტაკიძემ ისაუბრა იმ პროცესებზე, რომელიც ახლდა ლიფტების ელექტრომექანიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტის მომზადებას, აღნიშნა, რომ დამსაქმებლებთან ერთად ამჟამად მუშაობენ ბორტგამცილებლის პროგრამაზე.

2. გია ტარიელაძემ სხდომის მონაწილეებს გააცნო იმ აკადემიური პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო) ჩამონათვალი, რომელი პროგრამებიც წარმოადგინეს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ავტორიზაციისა და აკრედიტაციისას. აღინიშნა, რომ ამ კვალიფიკაციების შესაბამისობაში მოყვანა ჯერ კიდევ გრძელდება.
ქეთი ფანჩულიძემ ზოგადად მიმოიხილა ის მიმართულებები, რომელთა ფარგლებში განხორციელდა აკადემიური პროგრამების დამატება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების გადაწყვეტილებებით. იმდენად, რამდენადაც ამ ეტაპზე ინტენსიურად მიმდინარეობს პროგრამების აკრედიტაციის პროცესი, მიზანშეწონილია დაველოდოთ 2011 წლის დასრულებას და გაკეთდეს დასამატებელი აკადემიური კვალიფიკაციების სრული ნუსხა, რის მიხედვითაც შევა ცვლილებები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში.

დამსწრეები შეთანხმდნენ:

- რამდენადაც კანონმდებლობა იძლევა საშუალებას ნუსხაში შევიდეს ახალი კვალიფიკაციები, მომზადდეს წინადადებები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს №4 დანართში შემდეგი პროფესიული კვალიფიკაციების დამატების შესახებ:

1. დასუფთავების სამსახურის სპეციალისტი
2. პარიკმახერი
3. მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი
4. ლიფტების ელექტრომექანიკოსი
5. სომელიე
6. პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსი (პოლიგრაფისტის (040951) ნაცვლად)

7. სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი
8. საკერავი მანქანების მექანიკოსი
9. საკერავი მანქანების ოპერატორი
10. აგროლოჯისტიკის ოპერატორი
11. სცენის მულტიმედია-დიზაინერი
12. სამთო გამყოლი
13. საფეხმავლო გამყოლი
14. პრაქტიკოსი ექთანი
15. პრაქტიკოსი ბებიაქალი
16. საჰაერო გადამზიდავი
17. ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი (ხილ -ბოსტნეულის პირველადი გადამმუშავებლის (010451) ნაცვლად)
18. ექთნის თანაშემწე - ექთნის თანაშემწე (მომვლელი, ძიძა, გერიატრია) -ის ნაცვლად

- გაგრძელდეს მუშაობა ხელოვნების მიმართულების დარგობრივ ჯგუფთან ერთად "სტატისტის" დაზუსტებასთან დაკავშირებით და უმოკლეს ვადაში ავტორიზაციის საბჭოსათვის მომზადდეს საკითხი მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ;
- გაგრძელდეს მუშაობა და უმოკლეს ვადაში მომზადდეს წინადადებები აკადემიური კვალიფიკაციების ნუსხაში დამატებების შესახებ.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარსადგენი ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში დასამატებელი პროფესიული და აკადემიური კვალიფიკაციების ნუსხის საბოლოო ვარიანტი განხილულ იქნას თემატური ჯგუფის რიგგარეშე სხდომაზე დეკემბერში.

ოქმის მწარმოებელი ნანი დალაქიშვილი

დანართი №1

დასამატებელი პროფესიული კვალიფიკაციები

მიმართულება	**დარგი/სპეციალობა**	**პროფესიული სპეციალიზაცია**
01. აგრარული	0104 სასურსათო ტექნოლოგია	010451 ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი
02. ბიზნესის ადმინისტრირება	0203 მენეჯმენტი	020363 აგროლოჯისტიკის ოპერატორი
	0205 ტურიზმი	020558 სომელიე 020559 სამთო გამყოლი 020560 საფეხმავლო გამყოლი 020561 დასუფთავების სამსახურის სპეციალისტი
04. ინჟინერია	0407 ტრანსპორტი	040777 მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი
	0408 მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია	040860 ლიფტების ელექტრომექანიკოსი
	0409 სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია	040959 პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსი 040960 სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი 040961 საკერავი მანქანების მექანიკოსი 040962 საკერავი მანქანების ოპერატორი
	0416 საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია	041663 საჰაერო გადამზიდავი
08. ხელოვნება	0803 დიზაინი	080378 პარიკმახერი 080379 სცენის მულტიმედია დიზაინერი 080380 ბაღის დიზაინერი 080381 ფლორისტული დიზაინის სპეციალისტი
	0804 თეატრალური ხელოვნება	080457 სასცენო ხელოვნების ოსტატი
09. ჯანდაცვა	0905 საექთნი საქმე (ექთანი/ბებიაქალი)	090551 ექთნის თანაშემწე 090552 პრაქტიკოსი ექთანი 090553 პრაქტიკოსი ბებიაქალი